

შესაბამისი სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსატყვევებელი პარტული ენის ტაოან დიალექტში

EXPRESSION OF THE PLURAL FORM OF THE THIRD SUBJECTIVE PERSONAL MARKER IN THE TAOAN DIALECT OF THE GEORGIAN LANGUAGE

თინათინ მილორავა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან არსებული პროფესორ
ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საქართველო

Tinatini Milorava Professor Tariel Putkaradze Scientific Research Center of
Kartvelology at Akaki Tsereteli State University Georgia

 <https://orcid.org/0009-0008-3034-525X>

საკვანძო სიტყვები: სუბიექტური პირი, მრავლობითი, ტაოან დიალექტი

Keywords: subjective personal marker, plural, Taoan dialect

ABSTRACT

In the Georgian literary language and dialects, the plurality of I-II subjective persons is generally marked similarly (with the -t morpheme). From the point of view of the expression of the third person plural, more or less difference is confirmed, on the one hand, in the ancient and modern literary language, and on the other hand, in the dialects of the Georgian language. An interesting situation is shown by the Taoian dialect, which preserves archaisms along with new linguistic facts.

Our **research aims** to analyze the occurrence of third-person plural suffixes in the Taoian dialect of the Georgian language, to highlight archaic and dialectal facts. The research is based on new material recorded by us in Tao villages and Taoian texts preserved in Professor Tariel Futkaradze Scientific-Research Center of Kartvelology of Akaki Tsereteli State University recorded in 2006-2024. We have also processed the published samples of Taoian speech (Putkaradze, 1993; Paghava, at al., 2020).

The issue is **relevant** since it concerns the dialect that remains outside the borders of the state of Georgia, which has been developing in a foreign, Turkish language environment for four centuries. Thus, it is interesting to what extent the Taoian dialect has preserved the structural features of the Georgian verb.

Scientific novelty: based on the analysis of Taoian dialectal texts, a complete picture of the distribution of the signs of the third subjective person plural according to individual verb paradigms is presented; The situation in Taoian is comparable to the subsystems of the Georgian language.

In research, we use **methods** of fieldwork (recording of material), description, comparison, and analysis.

In the study dialect, the suffixes **-en, -an, -es, -n** are used to express the plural of the third person.

The suffix **-en** will be attached to the forms of the **present** and **future** tense: asheneb-en, cham-en, urev-en, meitaneb-en, isakmeben, atseven, gomovl-en... -av, -am -stem marker vowel a is usually reduced: -av +en > v+en; -am+en > m+en: tibv-en, iburv-en, tesv-en, ikidv-en, sheinaxhven...itsm-en, ikm-en, uzmen. Rarely the stem marking f consonant is also lost: kl-en, tib-en...

The suffix **-an** is present with both transitive and intransitive verbs in the forms of **present** and **future** tense and the **Perfect**: umziri-an, ijebi-an (<irjebi-an), etkhoeb-an ('tkhovdebian'), gaskhni-an, shekhri-an, iarebi-an, midi-an, dzian ('zian'), ekhvaratebi-an ('elaparakebian'), dajdebi-an, undan-an / undav-an, miakv-an, mikhav-an, ukvaran...uchami-an ('uchamiat'), gumukri-an ('gamoukriat'), gumutsli-an ('gamoutsliat'), tzomosul-an...

-es formant, like archaic Georgian, appears in **Imperfect** and **Aorist indicative** forms with all types of verbs: **Imperfect**: tserd-es ('tserdnen'), ashenebd-es ('ashenebdnen'), tesvid-es ('tesavdnen'), rtskvid-es ('rtskavdnen'), itsmid-es ('itsvamdnen'), smid-es ('svamdnen')... kond-es ('hkondat'), kavd-es ('hkavdat')...Verbs with -av, -am suffixes are also found here in form of -v, -m. **Aorist indicative**: tser-es, tib-es, deibur-es... chevn-es ('chavidnen'), ikvn-es ('ikvnen')... **-es** is also noticed in **Pluperfect**: eetsi-es ('aetsiat'), meetib-es ('moetibat')...

With the suffix **-n**, the forms of subjunctive are usually formed: [unda] ikitkho-n, imushao-n, meigo-n, kna-n, gabevrne-n...

It can be said that in the Taoian dialect, despite the strong influence of Turkish, the structure of the Georgian verb still maintains its stability, which is confirmed by the morphemes of the third person plural.

ტაოურ დიალექტში III სუბიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება -ენ, -ან, -ეს, -ნ სუფიქსებით. მათი დისტრიბუცია მეტ-ნაკლებად განსხვავდება თანამედროვე სალიტერატურო ენისაგან, მაგრამ მსგავსებას ავლენს ძველ ქართულთან და ქართული ენის კილოებთან. განვიხილოთ თითოეული მორფემის გამოყენების შემთხვევები ტაოური დიალექტური მასალის მიხედვით.

1. -ენ სუფიქსი ტაოურში, როგორც წესი, დაერთვის ანმყო-მყოფადის ფორმებს, (როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს).

ანმყოში გარკვეული თავისებურებები ახასიათებს -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს. კერძოდ, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ჩვეულებრივ თემისნიშნისეული ა ხმოვანი რედუცირებულია: **-ავ+ -ენ > -ვ-ენ; -ამ+ -ენ > -მ-ენ.**

-ავ > -ვ: ართვენ, დაართვენ კედსა (ძაფსა); აქაც არ იბურვენ; იმ ხევნარ ლენვენ ემეთ, დათვი ქი გავა; ყანა იყო და აღარ თესვენ; მაალესი ჭალა, ბოსტანი, ყანა, თესვენ; ლონჯას თესვენ და სამყურასაც თესვენ; ჭალები თიბვენ (ექსპედ. მასალა).

ჭალები ერთი-ორჯერ თიბვენ; არ იბურვენ, ზოგინიც არ იბურვენ, ჩვენ ვიბურავთ; ლონჯას თესვენ და სამყურსაც თესვენ; ყანეები არი, იქ ქომოღში თესვენ; ღენჭებ იკითხვენ; ქართულებ როგორ უკითხვენ (ფალავა და სხვ., 2005, გვ. 165).

-ამ > -მ: იმაზე ბითთაო აქ ამათ იცმენ; ასე ემეს იცმენ, ზედან იმა იცმენ, კალოშ; ყანაშიც იცმენ, აქსაც იცმენ, ფაქა ჩუცმელი არა; ახლა ბეჭდებ აცმენ ჩარშეფში; ჩაი იჯებიან, სმენ; დილაზე შესმენ, მასუკან ემეიქმენ; (ექსპედ. მასალა).

გარკვეულ შემთხვევებში მთლიანად რედუცირებულია -ავ სუფიქსი:

ასე ბალახ თიბენ ზამთრისთვის; ჭალები თიბენ; ორიხელი თიბენ; მეორეთ თიბენ; კაცები თირფით თიბენ; მარტო ქართოლ თესენ; თიბენ, ა ერთ თვეში გათავდება (ექსპედ. მასალა); მოდიან დათვები, არ კლენ და იმისთინ იზდება (ფალავა და სხვ., 2005, გვ. 152);

დასტურდება თემის ნიშანთა მონაცვლეობა: **-ი > -ავ.** ამ ტიპის ზმნათა მრავლობითობის გამოხატვა ზემოთ განხილულ წესს ემორჩილება: პურ ჭრავენ (ექსპედ. მასალა).

აღსანიშნავია, რომ ტაოურში, სხვა დიალექტების მსგავსად, უთემისნიშნო ზმნები დაირთავენ თემის ნიშნებს:

ჯერავენ, არ ჯერავენ, ჰამა დუნახიან ქი... არ ჯერავენ ქი (ელიასხევი) (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 741);

ხშირად ხმოვნით დაწყებული სუფიქსის, მათ შორის -ენ ფორმანტის, დართვა იწვევს თემისნიშნისეული ხმოვნის რედუცირებას: ხევნარ ტეხვენ, ღორებ მოდიან, თხრიან; მერე ხევნარი ბოჟნა ტეხვენ; ისენიცა წერვენ; ყურებზე ქი დაწერილფთა დასწერვენ (ექსპედ. მასალა).

საინტერესო სურათს ქმნის -ობ თემისნიშნისი ზმნა “ცხოვრობს”, რომელიც ანმყოში -ულ სუფიქსით რთულდება: თა არ არი, უბანია, ცხოვრულობენ,

ოჯლები არი; ახლა ათი ხანე ანჯახ ცხოვრულობენ აქა. შდრ. მყოფადის ფორმა: ახლაც აბლი ქი იცხოვრებენ. ზოგადად “ცხოვრების” მნიშვნელობით აქ გვხვდება **“ცოცხლობენ”** ფორმა.

-ენ სუფიქსით არის გაფორმებული უთემისნიშნო ზმნები:

ჭამენ და, ღორი ჭამენ; მარილ მუყრი, **შეშჭამენ**, ჩუასხამთ; ქსოვენ (ექსპედ. მასალა).

უთემისნიშნო ზმნებში არაიშვიათად **-ენ** სუფიქსის დართვა იწვევს ფუძისეული ვ თანხმოვნის დაკარგვას:

თოკით დუაბი ჭალაში, ძოენ; დაბმული ძოენ და ძოენ (ექსპედ. მასალა).

დასტურდება შემთხვევები, როდესაც ერთი მთქმელი იყენებს ზმნის როგორც ჩვეულებრივ ფორმას, ასევე, ფონეტიკურად სახეცვლილ ვარიანტს:

თოკი იქნება, თოკით ართუხ მოქსოვენ, არ ქსოენ (ექსპედ. მასალა).

-ენ სუფიქსი ჩვეულებრივ გვხვდება კაუზატიურ ფორმებშიც, მაგალითად:

მეორეთ თიბენ ამასა, ამათ კიდო ფურებ აჭმევენ; კიდო ოშია, იმა ფურებ მააძოებენ ართუხ თვლისკე, თვლისკე ფურებ მააძოებენ (ექსპედ. მასალა).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთგან გამოქვეყნებულ ტექსტებში **-ენ** სუფიქსი დასტურდება უწყვეტლის ფორმებთანაც: აგრები დაილა ქონდენ (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 733); ჩვენს მასალებში აქვს ზმნა, არქაული ქართულის მსგავსად, **-ეს** ფორმანტით იწარმოება:

შდრ. **-ენ** სუფიქსი უწყვეტელში იმერხეულისთვის არის დამახასიათებელი. იმერხეულში „სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის გამოსახატავად ძირითადია -ენ/-ნენ სუფიქსები... იშვიათია არქაული **-ეს** სუფიქსი“ (დადიანი და სხვ., 2018, გვ.176), ხოლო ტაოურში „სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობა უწყვეტელსა და წყვეტილში -ეს სუფიქსით გადმოიცემა“ (გვ.183).

2. -ან სუფიქსი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ხშირად იხმარება. იგი გვხვდება ანმყო-მყოფადისა და **I თუხმეობითის** ფორმებთან: როგორც გარდამავალ (-ი სუფიქსიანი ზმნებთან), ისე გარდაუვალ ზმნებთან (ერთპირიანი ვნებითის ფორმებთან, ზოგ სტატიკურ ზმნასთან):

ანმყო-მყოფადი:

ერთმანეთ არ უმზირიან სულა; ყაბულ არ იჯებიან, იკითხვენ და, არ იჯებიან ყაბულ ოქულეფჩი; ასე ბოინა ბურსიდან მოინეს და იარებიან; ღანე იარებიან; მეერენი მიდიან, ესენი მიდიან; ფირიანნი ქომოთვე მიდიან; ი იქენდამ ერთმანეთ ეხვარათებიან ჰერალდა; ი ჩენა უყვარან ისა (ექსპედ. მასალა).

I თუხმეობითი:

იქო უჭამიან; უჭამიან და გამძლარან და ისე წომოსულან (ექსპედ. მასალა).

ტაოურ მეტყველებაში თავისებურებას გვიჩვენებს ზოგი ტიპის გარდაუვალი ზმნა, კერძოდ, სუფიქსური ვნებითის ფორმას ენაცვლება პრეფიქსიანი

წარმოება (ყველა პირსა და რიცხვში). მაგალითად, გე-ე-თხოა = გათხოვდა:

ზენგინები ზათი ზენგინი იქნებიან, ადგილ არ გე-ეთხოებიან, ფახრიცა ონაგორა (ღარიბიც შესაბამისად); აქ ბევრი გეეთხოვებიან, ი იქრობაშია (ექსპედ. მასალა); ახლა ისე ადრე აღარ ეთხოვიან, გვიან ეთხოვიან (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 1002).

საინტერესოა აქვს, ჰყავს, უნდა ზმნათა წარმოება. ტაოურში ისინი გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებს. კერძოდ:

აქვს მრავლობითი -ან სუფიქსს დაირთავს -თ ბოლოსართის ნაცვლად: აქვ-ან:

საქმე იქ აქ^{ან} კაცეფთა; ტყევნარ სახლები არ აქვან (ექსპედ. მასალა).

მუშაობენ, იქ საქმეები აქვან და ვერ დამდგარან ბევრზე; იქ საქმეები აქვან, მუშაობენ; სახლები აქვან ზიან (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 731).

შ. ფუტკარაძე აქვან ფორმის პარალელურად ადასტურებს აქვანან ფორმას: საქმე აქვანან; სოფელი ზომოთკე აქვან (ფუტკარაძე, 2016, გვ. 296).

ჰყავს ზმნა მრ. რიცხვში წარმოდგენილია ორმაგი დაბოლოებით: ან-ან / ავ-ან.

ბითთავა აქა აქობაში ქყავან; ახლა ახორში მყავან და; მალეები ჰყავან (ექსპედ. მასალა);

ფურები გყუანან ჩუენ, ერთ თანე ფური გყყავს; შენ გყავან ხენჭები? ვინცხას ზროხები, ფურები ყავან, იქა არიან (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 731)

ამგვარი წარმოება დასტურდება აჭარულში, იმერხელში (ჯორბენაძე, 1989, გვ. 559, გვ. 583); ლივანურში, ტაოურში (ფუტკარაძე, 2016, გვ. 200, 201, 243. 296; დადიანი და სხვ., 2018, გვ.192).

ჰყავს ზმნის ანალოგიურად არის გაფორმებული უნდა ზმნა ანმყოს მრავლობითი რიცხვში . მაგ.:

ამა დადება უნდანან ზაფხულის; თივა ბევრ, ბევრი უნდანან; თუ გინდავან, ვიაროთ; ორთანე აღარ უნდავან მუშაობა; ზაბა, უნდავან, ო. იქ არ უნდავან, ცხელათ, ცხელათ ზაბა, ჰო, კაა ჰავა, წყლები კააა აქა; ახლა წუმსა, განუმდება, არ უნდავან იმათ, შეძვრებიან ყვერეში, სიცხეში გომოზავდებიან კარზე; რა უნდავან, ისენი ჭამენ ბოიდან; რეიგანცხა უნდავან, ისე ხვარათობენ; ბევრ ფულ უნდავან.(ექსპედ. მასალა);

უმუშავებელად ფარა მოგება უნდანან; აქ ჭიმჭველები არიან, აქ მოსლა არ უნდანან (ფალავა და სხვ., 2020, გვ. 732).

შდრ. უნდანან ფორმა დასტურდება აგრეთვე იმერხელში: ჩომას თივა უნდანან (ექსპედ. მასალა), (ფუტკარაძე, 2016, გვ. 123, 201, 243).

-ან-ან დაბოლოებიანი ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი:

ა. შანიძე ან-ან დაბოლოებიან ზმნებს გამოწკლისად მიიჩნევდა, სადაც ორივე -ან სუფიქსს მრავლობითის ნიშნად გამოყოფდა (შანიძე, 1920, გვ. 72).

არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია პირველ -ან სუფიქსში ნ-ს გამოყოფენ და მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიაჩნიათ (ჩიქობავა, 1940, გვ. 41; თოფურია, 1940; თოფურია, 1941, გვ. 191).

ბ. ჯორბენაძე: -ან ანმყოს ფუძის მანარმოებელი, არაპროდუქტიულია; დამოწმებულია რამდენიმე სტატიკური ზმნის მრავლობითი რიცხვში (ისიც მხოლოდ III პირში): დგ-ან-(ან), (ჰ)-ყვ-ან-(ან), მსგავსი წარმოების ფორმებია ქართულში: დგ-ან-ან, ჩ-ან-ან, ჰგვ-ან-ან ზმნები სადაც პირველი -ან უძველესი სუფიქსია, ხოლო მეორე -ან მრავლობითი რიცხვის ნიშანი (ჯორბენაძე, 1998, გვ. 653).

ი. და ვ. იმნაიშვილების აზრით, პირველი-ან სუფიქსი ფუძის მანარმოებელია, მეორე კი მრ. სუფიქსი: ქუან: ან ესერა ქნარი მათი მე ვარ და მე სასიტყუელად ვაქუ (იობ 30, 9 = სალაპარაკოდ ვყავარ). ჰქუანან: არა ჰქუანან ქალაქნი და ნაშენებნი, არამედ ყოველნი ტალავარნი ადგილდ-ადგილდ (ეტ. II, 51, 10); ჰქუანან მახვლნი ცეცხლისანი (იქვე, 57, 7). უფრო ხშირია ჰქონან, რომელშიც უა შერწყმულია და ო-დ არის ქცეული; მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი (მ. 8,9; ლ. 7,8 მქონან < მქუანან); ჰქონან მოსე და წინასწარმეტყუელნი (ლ. 16, 29) (იმნაიშვილი და სხვ., 1996, გვ.413-415).

3. -ეს ფორმანტი ტაოურ მეტყველებაში, არქაული ქართულის მსგავსად, გამოვლინდება უწყვეტელსა და წყვეტილში ყველა ტიპის ზმნასთან.

უწყვეტელი: ლუხუმ იქმოდეს, ახლა აღარ იჯებიან; ყაურმა იჯებოდეს; ამათ გამაარჩევდეს ასე; (ექსპედ. მასალა).

-ავ/-ამ თემისნიშნის ზმნებთან III პირში ა ხმოვანი რედუცირდება და ვიღებთ შემდეგ დაბოლოებას: **-ვ-იდ-ეს, -მ-იდ-ეს**; მაგალითად:

ლებო თესვიდეს, მარქვალ თესვიდეს; წითელი ლებო ქომო თესვიდეს; ჯარ დაკლვიდეს, დიდ ჯარ დაკლვიდეს; მატყლიდამ მოქსოვლი, იმა იცმიდეს (ექსპედ. მასალა).

შდრ. მსგავსი მაგალითები გამოქვეყნებული ტექსტებიდან: იმა თესვიდეს, ახლა მარტო ქართოლ თესვენ; ემეს, ქერ თესვიდეს, იცით ცერცვი? ძველად ბევრი ინახვიდეს; აქ ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს (ფალავა და სხვ., 2005, გვ. 152)

დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც **-ავ/-ამ** თემის ნიშანი სრულად რედუცირებულია. მაგ.:

ტიკ დუკრიდეს; დავ უკრიდეს; ჯარებ დაჰკლიდეს, ერთიც ხორცებ რამ დაჰკლიდეს (ექსპედ. მასალა).

-ავ/-ამ სუფიქსიან ზმნათა წარმოებას მიჰყვება ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები, მათ სორის ფუძედრეკადი ზმნები, რომლებიც თემის ნიშნებით რთულდება: ცხვრისი მატყლი გაახმიდეს, გაჩეჩვიდეს; ერთ კვირა მეიკრეფიდეს, დაკრეფვიდეს (ექსპედ. მასალა).

ზოგი -ი სუფიქსიანი ზმნა -ავ სუფიქსითაა წარმოდგენილი: ისენი ჭრავნეს; ისინი ჭრავდეს (ექსპედ. მასალა). მოსალოდნელი იყო: ჭრ-ვ-იდ-ეს.

ტაოურში ჰქონდა, ჰყავდა ზმნები უწყვეტელში “თ” სუფიქსის ნაცვლად გამოავლენს **-ეს** ფორმანტს: ქონდ-ეს („ჰქონდათ“), ყავდ-ეს („ჰყავდათ“)... მაგ.: ქოხები ქონდეს იქა; ნიშან არ ქონდეს (ექსპედ. მასალა).

ასეთი ფორმები დასტურდება გამოქვეყნებულ

ტექსტებშიც. მაგ.: დაიღობი ქონდეს, ახლა აღარ მი-
დიან; სასმელი წყალი მიჰყავდეს და არ იქნა (ფა-
ლავა და სხვ., 2020, გვ. 734).

სხვა გარდაუვალი ზმნები:

დანვებოდეს, ე იმისთუნ სახუნდარი; მალეები ჩო-
მოიდოდეს; ორნი წევდოდეს, ორნი აქ იქნებოდეს;
იარებოდეს ისენიცა; იქ იარებოდეს ჩემი ლენჭები
(ექსპედ. მასალა).

-ეს ფორმანტი გვაქვს წყვეტილის ფორმებში.
ჩვეულებრივ გამოიყენება გარდამავალ ზმნებთან:

ერთ-ორნი დაკლეს; ისინი გააკეთეს, ის ფინთი
ალაგები ქი, ვერ გეძარ ისე, ისინი გააკეთეს; ახლა
აღარ არის, ასწიეს (ექსპედ. მასალა).

საინტერესოა ისეთი ფორმები, სადაც დ თანხმო-
ვნის მონაცვლედ წარმოდგენილია ნ. ასეთია ძირი-
თადად -ვიდ ძირის შემცველი „სიარულის“ სემანტი-
კის ზმნა, მაგ.:

მასუკანსაც მოვნეს, მექთები გათავდა; მოვნეს,
ანაებ უთხრეს; მოვნეს, ნიშანი ქნეს; იქობაში წევ-
ნეს, ლენჭფთ საკითხავა ბააზე; ზოგნიც წევნეს იქა-
ობაში; ორი თანე მოკლეს და დაბეჩნეს; მოკვნეს
(ექსპედ. მასალა).

ტაოურ მეტყველებაში **“იყო”** ზმნა მრავლობითში
დასტურდება “იყვნ-ეს” ფორმით: ქაბაჲ იყვნეს ასე

მოქსოვლი; უწინ რუსი გურჯისტან ფაქა ერთ იყვნეს
და ახლა გეიყარენით ბაშხა; ბევრი ხანე იყვნეს; იქ-
საც ოცი ხანე იყვნეს (ექსპედ. მასალა).

-ეს ფორმანტი წარმოდგენილია **II თუხმეობით-**
შიც (აქც -თ სუფიქსს ენაცვლება): იქ ჩემი თაი-ნა
დეეკლეს; იონჯა მეეთიბეს („მოეთიბათ“); სახლები
დამჩალიყო და ეეწიეს („აეწიათ“)(ექსპედ. მასალა).

4. **-ნ** სუფიქსით, როგორც წესი, პირველი და მე-
ორე კავშირებითის ფორმებია გაფორმებული. დაე-
რთვის სხვადასხვა ტიპის ზმნებს.

საილუსტრაციო მასალა: ამათ ფური-და მოწვე-
ლონ, ყანა-და მორწყან, ქართოლი-ნა დათხარონ,
ლებუო-ნა დაკრიფონ; ასე-და ილოცონ, ილოცონ;
რემებან-ნა დეიჭირონ; ნა-წევდენ (ექსპედ. მასალა).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტაოურ
დიალექტში, თურქული ენის ძლიერი ზეგავლენის
მიუხედავად, ქართული ზმნის სტრუქტურა, მორ-
ფოლოგიური ელემენტები დღემდე ინარჩუნებს
სიმყარეს, რასაც მესამე სუბიექტური პირის მრავ-
ლობითის მორფემებიც ადასტურებს. ერთი მხრივ,
შეინიშნება არქაული ენობრივი ფაქტების დაცვის
ტენდენცია, მეორე მხრივ, თანამედროვე სალიტე-
რატურო ენისა და დიალექტებისთვის დამახასია-
თებელი მოვლენები.

ლიტერატურა

- დადიანი, ე., ფუტკარაძე, ტ. (2018). ქართველური დი-
ალექტოლოგია, სალექციო კურსი
თოფურია, ვ. (1940). ქართველურ ენათა სიტყვანა-
რმოებიდან. II, -ედ, -ურ, რ- აფიქსებისათვის,
ენიმვის მოამბე. შრომები, ტ. III, გვ. 73-80
თოფურია, ვ. (1941). ნ და ს ფენებისათვის ქართვე-
ლურ ენებში, სმამ, ტ. 2, №1-2. შრომები, ტ. III, გვ.
137-144
იმნაიშვილი, ი., იმნაიშვილი, ვ. (1996). ზმნა ძველ ქა-
რთულში, ნაწილი I, მაინის ფანკფურტი
ჟლენტი, ს. (1936). გურული კილო, თბილისი: „მეცნიე-
რებათა აკადემიის გამოცემა“
ფალავა, მ., ცინცაძე, მ., მაკარიძე, ე., დიასამიძე, რ.,
თანდილაძე, ლ. (2005). ტაოური მეტყველების
ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV,
ბათუმი
ფალავა, მ., ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, მ. ში-
ოშვილი, თ. ხალვაში, რ. მგელაძე, ნ. შაშიკიძე,
ზ. მგელაძე, ნ. ჩხვიშიანი, ჯ. კარალიძე, ჯ. (2020).
ტაო (მონოგრაფია), ბათუმი: „მერიდიანი“
ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., (2022). ქართული
ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასა-
ლები, ლექსიკონი). ბათუმი: „მერიდიანი“
ფუტკარაძე, შ. (2016). ჩვენებურების ქართული, წიგნი
მეორე, ბათუმი: „აჭარა“
შანიძე, ა. (1920). სუბიექტური პრეფიქსი მეორე პი-
რისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა
ქართულ ზმნებში, თბილისი
ჩიქობავა, არნ. (2010). მესამე პირის სუბიექტის უძვე-
ლესი ნიშანი ქართველურ ენებში, შრომები, II,

- თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ჯორბენაძე, ბ., (1980). ქართული ზმნის ფორმობრივი
და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბი-
ლისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცე-
მლობა“
ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., ბერიძე, მ., (1988). ქა-
რთული ენის მორფემებისა და მოდალური ელე-
მენტების ლექსიკონი, თბილისი: „მეცნიერება“
ჯორბენაძე, ბ. (1989) ქართული დიალექტოლოგია, I,
თბილისი: „მეცნიერება“
ჯორბენაძე, ბ. (1995) ქართული ენის მორფოლოგია,
თბილისი: „მეცნიერება“
ცენტრის მასალა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტზე არსებული პროფესორ ტარიელ
ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სა-
მეცნიერო-კვლევითი ცენტრის მასალა, რომე-
ლიც ჩაწერილია იმერხევსა და ტაოში 2007-2024
წლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციების
ფარგლებში
ექსპედიციის მასალა: აკაკი წერეთლის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეც-
ნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ტარიელ
ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2007-
2024 წლებში იმერხევსა და ტაოში განხორციე-
ლებული დიალექტოლოგიური ექსპედიციების
ფარგლებში სტატიის ავტორის მიერ ჩაწერილი
მასალა.